აფაგ ფაზლოლაჰი

აფაგ ფაზლოლაჰი დაიბადა და გაიზარდა აზერბაიჯანის ყარაბაღის რეგიონში, განმანათლებელთა ოჯახში.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1979 წელს, მას შემდეგ რაც პირველი ბაკალავრის ხარისხი მიიღო რუსულ ლიტერატურასა და რუსულ ენაში, აზერბაიჯანის სლავური ენების ინსტიტუტში, ბაქოში.

მას ძალიან უყვარდა საკუთარი საქმიანობა და წლების განმავლობაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას აზერბაიჯანში, როგორც აზერბაიჯანულ, ასევე რუსულ სკოლებში.

1994 წელს იგი ემიგრაციაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და პროფესიული განათლების მიღება იქ განაგრძო. 2001 წელს მიიღო მეორე ხარისხი, ხელოვნების ბაკალავრი ინგლისურ ენაში ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ატლანტა, ხოლო 2004 წელს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ამავე დარგში, ასევე ჯორჯიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, რის შემდეგაც ინგლისური ენის დეპარტამენტმა სადოქტორო პროგრამაზე მიიღო და იგი დისერტაციის დაცვამდე ასწავლიდა აკადემიურ და ბიზნეს წერას.

ჯორჯიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტთან ერთად მუშაობამ აფაგისთვის დიდი როლი ითამაშა, რომ ძირითად მიმართულებად მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანული ლიტერატურა აირჩია, ხოლო ლიტერატურის თეორია როგორც მეორეხარისხოვანი მიმართულება.

2011 წელს მან დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ელიზაბეტ კარტერის მემკვიდრეობა: მეგობრობა და ეთიკა“ და მიენიჭა დოქტორის ხარისხი ინგლისურ ენაში.

აკადემიურ და ბიზნეს წერაში მისი პროფესიული სწავლების გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯორჯიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რობინსონის ბიზნესის სკოლაში მიიღო შემოთავაზება, რომ დაეკავებინა მასწავლებლის პოზიცია.

როგორც რობინსონის ბიზნესის სკოლის, შემდეგ კი ჯორჯიას შტატში არსებული კენესოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის წევრს, მიეცა საშუალება ესწავლებინა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ქვეყანაში, როგორებიცაა ნავთობის აკადემია ბაქოში (აზერბაიჯანი), კაიროს უნივერსიტეტი ეგვიპტეში და, რა თქმა უნდა, კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა თბილისში, საქართველო.